ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №1/230519/4

ქ. თბილისი **23 მაისი, 2019 წელი**

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „შემოსავლების სამსახური“** სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის, მოვალეობის შემსრულებლის ზვიად პაპიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16, ს/კ №204525585; სახელმწიფო ხაზინა, კოდი №TRESGE22, ანგარიში/სახაზინო კოდი 70701

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **შპს „პროესკო“-ს** დირექტორის სალომე შენგელიას სახით (შემდგომში მიმწოდებელი), მისამართი: ქ.თბილისი, წყნეთის გზატკეცილი 22 ტელ: 574905070, ს/კ 404378981, სს „თიბისი ბანკი“, კოდი TBCBGE22, ა/ა GE70TB1132736020100006

_____

(ორგანიზაციის დასახელება, იურიდიული მისამართი და საბანკო რეკვიზიტები)

1.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემოსავლების სამსახურის მომსახურების საფასურიდან მიღებული სახსრებით შემდეგი სახის საქონლის და მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად“ და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

39294100 - საინფორმაციო და სარეკლამო პროდუქცია:

2 ცალი - სამკუთხედი ბანერი - 2.5X3.5 კონსტრუქცია აწყობილია 20X20 მმ მილკვადრატით, გადაჭიმული შავზურგიანი ბანერით. ზედაპირზე დამაგრებულია მოცულობითი PVX - ის 10მმ იანი ელემენტი 5 მმ იანი დასქელებით, რომელზეც დაბეჭდილია UV ტექნოლოგიით. მიმაგრებული ელემენტი არის გამოწეული 10 სანტიმეტრით **- ერთეულის ღირებულებით 8000.00 ლარი, ჯამური ღირებულებით 16 000.00 ლარი.**

5 ცალი - სტენდი - 3.5X2.5X2.5 წყალგამძლე ნაჭრით გადახურული (ცალმხრივი ბეჭდვით) რკინის კონსტუქცია შედგება: 80X80 მმ მილკვადრატით, კედლის სისქე 3 მმ. კედლები დამზადებულია 18 მმ იანი ლამინატით გადაკრული გლუვი ზედაპირის ნაბეჭდი სტიკერი, იატაკზე არის ხალიჩა დაგებული **- ერთეულის ღირებულებით 3500.00 ლარი, ჯამური ღირებულებით 17 500.00 ლარი.**

6 ცალი - მაგიდა დახლი - 2X2.2X1 წიწვოვანი ხე, დამუშავებული და გალაკული ნაჭრის წყალგამძლე გადახურვით - **ერთეულის ღირებულებით 1 100.00 ლარი, ჯამური ღირებულებით 6 600.00 ლარი.**

79952100 - კულტურული ღონისძიებების ორგანიზება:

სცენის მოწყობა ლედ ეკრანებით და გახმოვანება -24 000.00 ლარი;

საბაჟო გამშვები პუნქტი "ყაზბეგი"-ს მიმდებარე ტერიტორიის მოწყობა და გაფორმება შესაბამისი ინვენტარით - 86,118.75 ლარი.

საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2019 წლის 16 მაისის № 2326 განკარგულება და SMP190002248.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 მაისის N 1147 განკარგულება.

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსის 2019 წლის 15 მაისის N 51917-21-09 მოხსენებითი ბარათი.

1.2 **შესყიდვის ობიექტია:** „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 მაისის №1030 განკარგულების საფუძველზე, „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის -26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, საბაჟო გამშვები პუნქტი "ყაზბეგი"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილი ღონისძიებისათვის ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის და მომსახურების შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **150,218.75 (ას ორმოცდაათი ათას ორას თვრამეტი ლარი და 75 თეთრი) ლარს,** დეტალური ხარჯთათრიცხვა მოცემულია ხელშეკრულების დანართ N1-ში. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1.მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

3.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1 მომსახურების გაწევის/საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების/ მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

3.2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

4. მომსახურების/საქონლის გაწევის/მიწოდების ვადა და პირობები

4.1. „საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული მომსახურება უნდა განხორციელდეს, ხოლო საქონელი უნდა მიეწოდოს, საბაჟო გამშვები პუნქტი "ყაზბეგი"-ს მიმდებარე ტერიტორიაზე, მიმდინარე წლის 26 მაისს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების /მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

5.2 მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების გაწევისას/საქონლის მიწოდებისას მიღება-ჩაბარების აქტი და საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვლისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსი პირია შემოსავლების სამსახურის ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული ინსპექტირების აქტის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან) არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1გაუწიოს „შემსყიდველს“ უნაკლო მომსახურება და მიაწოდოს საქონლი.

7.1.2. „შემსყიდველს“ გაუწიოს მომსახურება და მიაწოდოს საქოელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.3. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1.ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს გაწეული მომსახურების/მიწოპდებული საქონლის ხარისხის კონტროლი;

8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხოდ გაწეული მომსახურების/მიწოდებული საქონლი მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდება და არაჯეროვნად იქნა გაწეული მომსახურებაa მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს აღნიშნული ხელშეკრულება.

13.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2019 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

„შემსყიდველი“ **სსიპ „შემოსავლების სამსახური”**	**„მიმწოდებელი“** **შპს „პროესკო“**
_____	_____
ზვიად პაპიძე ფინანსური დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	**სალომე შენგელია** დირექტორი

2019 წლის 23 მაისი N1/230519/4 ხელშეკრულების დანართი N1				
N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება
მიწოდების პირობები: დაუზიანებელი საქონლის მიწოდება, 26 მაისი ღონისძიების დასრულების შედგემ მომწოდებელმა უნდა უზრულველყოფ ქ. თბილისში აბზიანის ქუჩა N4 ში.				
1	სამკუთხედი ბანერი - 2.5X3.5 კონსტრუქცია აწყობილია 20X20 მმ მილკვადრატით, გადაჭიმული შავზურგიანი ბანერით. ზედაპირზე დამაგრებულია მოცულობითი PVX - ის 10მმ იანი ელემენტი 5 მმ იანი დასქელებით, რომელზეც დაბეჭდილია UV ტექნოლოგიით. მიმაგრებული ელემენტი არის გამოწეული 10 სანტიმეტრით	2	8000	16,000.00
2	სტენდი - 3.5X2.5X2.5 წყალგამძლე ნაჭრით გადახურული (ცალმხრივი ბეჭდვით) რკინის კონსტუქცია შედგება: 80X80 მმ მილკვადრატით, კედლის სისქე 3 მმ. კედლები დამზადებულია 18 მმ იანი ლამინატით გადაკრული გლუვი ზედაპირის ნაბეჭდი სტიკერი, იატაკზე არის ხალიჩა დაგებული	5	3500	17,500.00
3	მაგიდა დახლი - 2X2.2X1 წიწვოვანი ხე, დამუშავებული და გალაკული ნაჭრის წყალგამძლე გადახურვით	6	1100	6,600.00
ჯამი:				**40,100.00**

ტექნიკური ნაწილი

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება
1	სცენა (5მ*6მ, გადახურვით)	1	8000	8,000.00
2	ტერიტორიის და სცენის გახმოვანება	1	7000	7,000.00
3	ლედ ეკრანები (4ც, თითო 9 კვ.მ)	36	250	9,000.00
ჯამი:				**24,000.00**

დამატებითი აღჭურვილობა

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება
1	მოლბერტები	45	85	3,825.00
2	საქართველოს რუკა (საბავშვო ჯეგირებით)	1	2000	2,000.00
3	მაგიდა(იჯარა)	20	35	700.00
4	სკამები (იჯარა)	40	10	400.00
5	მონიტორი	3	400	1,200.00
6	ბიოტუალეტები	4	600	2,400.00
7	სხვადასხვა ზონებისთვის მოსაწყობი მასალები	1	2500	2,500.00
ჯამი:				**13,025.00**

დაგეგმვა და მენეჯმენტი

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	ჯამური ღირებულება
1	ელექტროობის მასალები ღონისძიებისთვის	1	2000	2,000.00
2	წითელი და თეთრი ბოლი	1	6000	6,000.00

3	ანსაბლები, ერისონი და შავნაბადა	1	15000	15,000.00
4	სამივლინებო	6	900	5,400.00
5	ტრანსპორტის ხარჯი	1	5000	5,000.00
6	დამლაგებლები	4	150	600.00
7	პროექტის მხატვარი და დიზაინერი	1	4500	4,500.00
8	ფოტოგრაფი (5 ობიექტის გადაღება)	5	1000	5,000.00
9	საორგანიზაციო ჯგუფის ჰონორარი	5	2000	10,000.00
ჯამი:				**53,500.00**
სულ ჯამი:				**150,218.75**